

## კომპოსტირება სახლის პირობებში

იცი თუ არა, რომ:

საკვების ნარჩენის 95%, რომელიც შესაძლებელია, დაკომპოსტირდეს, იგზავნება ნაგავსაყრელზე.

კომპოსტი არის ორგანული ნივთიერება, რომელიც შესაძლებელია, განთავსდეს ნიადაგში მცენარეთა ზრდის დასახმარებლად. საკვებისა და ბაღის ნარჩენები შეადგენს ჩვენ მიერ გადაყრილი ნარჩენის 20–30%-ს, რომელიც შესაძლებელია, დაკომპოსტირდეს, შედეგად კი თავიდან ავიცილოთ ნივთიერებების ნაგავსაყრელზე განთავსება, სადაც ისინი გამოყოფენ მეთანს და სხვა სათბურის გაზებს.

კომპოსტირებისთვის საჭიროა სამი ძირითადი ინგრედიენტი:

- გამომშრალი ორგანული მასა, როგორცაა გამხმარი ფოთლები, ტოტები, თივა და ა.შ.
- ნედლი ორგანული მასა, როგორცაა ხილისა და ბოსტნეულის ნარჩენები, ბალახი და სხვა
- წყალი

წყლის, ნედლი და გამომშრალი ორგანული ნივთიერებების საჭირო რაოდენობა მნიშვნელოვანია კომპოსტირებისთვის

კომპოსტი უნდა შეიცავდეს თანაბარი რაოდენობის ნედლ და გამომშრალ ორგანულ ნივთიერებებს. ორგანული და სხვა ნივთიერებები უნდა დალაგდეს ფენებად. გამომშრალი ორგანული მასა გამოყოფს ნახშირბადს კომპოსტისთვის, ნედლი ორგანული მასა წარმოქმნის აზოტს, ხოლო წყალი უზრუნველყოფს დატენიანებას, რაც ხელს უწყობს ორგანულ ნივთიერებათა დაშლას

- რა დავაკომპოსტოთ
- რა არ უნდა დაკომპოსტდეს და რატომ

## კომპოსტირების დადებითი მხარეები

- ამდიდრებს ნიადაგს, ეხმარება ტენიანობის შენარჩუნებაში, ამცირებს მცენარეთა დაავადებებს და მავნებლებს
- ამცირებს ქიმიური სასუქების საჭიროებას
- ხელს უწყობს სასარგებლო ბაქტერიების და ფუნგების გამრავლებას, რაც შლის ორგანულ მასას და წარმოქმნის ჰუმუსს
- ამცირებს მეთანის ემისიებს ნაგავსაყრელებიდან და ნახშირბადის წილს ერთ ადამიანზე

## კომპოსტირება სახლის პირობებში

არსებობს მრავალი გზა კომპოსტირებისთვის. დაგჭირდებათ: სამკაპი, ნახვრეტებიანი ურნა და სარწყავი მილი ნახვრეტებიანი თავსახურით. რეგულარული ამორევა და წყალი ეხმარება კომპოსტის წარმოქმნას.

## კომპოსტირება ეზოში

- შეარჩიეთ მშრალი და ჩრდილიანი ადგილი წყალთან ახლოს

- მოაგროვეთ მიწა, დარწმუნდით, რომ მსხვილი ნაწილები კარგად დააქუცმაცეთ და დაასველეთ
- შეურიეთ ბალახი და მწვანე ნარჩენები, ხილის და ბოსტნეულის ნარჩენები ჩაფლეთ 25 სმ სიღრმის კომპოსტის მასალაში
- გადააფარეთ კომპოსტს ცელოფანი, რათა ტენიანობა შენარჩუნდეს. როდესაც მასა მიიღებს მუქ შეფერილობას, კომპოსტი გამოსაყენებლად მზადაა. საშუალოდ ამისთვის საჭიროა 2-თვიდან - 2-წლამდე.

### **კომპოსტირება შენობაში**

თუ კომპოსტირებისთვის საკმარისი ადგილი არ გაქვთ გარეთ, შესაძლებელია კომპოსტის გაკეთება შენობის შიგნითაც, სპეციალური ურნის მეშვეობითაც, რომლის შექმნაც ნებისმიერ საყოფაცხოვრებო მაღაზიაში შეიძლება. ყურადღება გაამახვილეთ, როგორ უვლით მასას და რას ამატებთ მას. კარგად მოვლილი კომპოსტი არც მავნებლებს მიიზიდავს და არც არასასიამოვნო სუნს დააყენებს. ამ შემთხვევაში თქვენი კომპოსტი 2-5 კვირაში გამზადდება.

### **შენით შექმენი საკუთარი ურნა შენობაში**

- კომპოსტის დასამზადებლად თქვენ დაგჭირდებათ ორურნიანი ე.წ. ბიორეაქტორის მოწყობა. ამისათვის უნდა აიღოთ პლასტმასის ურნა და გააკეთოთ 1-2,5 სმ-ის დიამეტრის ნახვრეტები სამ რიგად, ძირიდან თავისკენ. ნახვრეტების გაკეთება დაიწყეთ ძირიდან 5 სმ-ის დაშორებით.
- დიდი ურნის ძირში მოათავსეთ აგური, და დაფარეთ ის ნახვრებით ან მიწით. აგურს დაადეთ მცირე მოცულობის ურნა
- გარედან დაფარეთ იზოლაციით, რათა შეინარჩუნოთ სითბო და დაახურეთ სახურავი